№ 132. 9 ივლისი, შაბათი. 1866—1883 9 ივლისი, შაბათი. № 132.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მан. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებას ბეჭდავს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## სამღვთო წესების მაზანდა.

თბილისი, 8 ივლისს.

როგორც სახელმწიფოს წარჩინებული პირნი, ისე წარჩინებულ რუსეთის პუბლიცისტები, როგორც კატკოვი და აქსაკოვი, რომელნიც ყოველთვის თამამად ლაპარაკობენ მთელი რუსეთის მაგიერ, ყოველთვის გაიძახიან, რომ რუსეთის სიმკვიდრე, დედა-ბოძი, ბურჯი არის მართლმადიდებლობითი სარწმუნოება. მაგრამ ამ უშველებელ სახელმწიფოში არც ერთი წოდება, არც ერთი რიგი მოხელეებისა ისე არ არის მივიწყებული, კუნჭულში მიგდებული, როგორც ის წოდება, რომელმაც უნდა განამტკიცოს და გააძლიეროს ეს „სვეტი ჭეშმარიტებისა"—სარწმუნოება. მოგახსენებთ სამღვდელოებაზედ. პირიქით, ეს წოდება რაღაც დაბალ ღობედ მიაჩნიათ, რომელზედაც ყველა ბრალიანი და უბრალო ზედ ალაჯებს. ვისაც ჭკვიანი კაცის, განათლებულის ლიბერალის სახელი უნდა დაიგდოს და პატარა ჩხაპნაც ეხერხება, მოავლებს კალამს ხელს და დაუწყებს წერას სამღვდელოებისაგან, ვითომ, ხალხის ცარცვაზედ და ყვლეფაზედ. თვალები რომ ავახილოთ და სინიდისიერად შევხედოთ საქმეს, აღმოჩნდება, რომ სამღვდელოება არც ერთ სხვა წოდებაზედ მეტად არ აწუხებს ხალხს. მართალია, ზოგიერთი მახინჯი, როგორც ყველა წოდებაში, სამღვდელოებასაც ურევია, რომელიც ზომას აჭარბებს, მაგრამ ეს ორიოდე მახინჯი სათვალავში არ არის მისაღები. მოდი და დაემდურე შენ სიმშილისაგან მიხრწნილ ხარს, რომლის დაუდევარ პატრონს საზამთროდ არც თივა შეუნახავს, არც ბზე და გაყინულ მინდვრებზედ გამხმარი კლერტების სინაბარა გაუგდია—დადებული ურმიდამ თივა რად გამოჰგლიჯეო?! სწორედ ამისთანა ხარს, თოვლში ფეხით საქექი კლერტების სინაბარა გაგდებულს, წარმოადგენს სამღვდელოება. ორში ერთი უნდა გადასწყდეს: ან სამღვდელოება, მართლა საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაა სახელმწიფოში, ან სულ უსარგებლო, მუქთა-მჭამელია, როგორც ხშირად ლაღადებენ სხვა-და-სხვა ჯურის თავხედი ვაჟბატონები, რომელნიც პოლიტიკურს და სოციალურს მძიმე კითხვებს ერთი შაბერვითა სწყვეტენ. თუ სამღვდელოება, მართლა მუქთა-მჭამელთ ხროვაა, უნდა მთლად გაუქმდეს, თუ არა და, უნდა ჩადგეს მატერიალურად იმისთანა პირობებში, რომ თავის მრევლის კარებზედ ტომარა აკიდებული აღარ მიდიოდეს. მხოლოდ მაშინ მიაღწევს მღვდელი თავის დანიშნულებას: შეიქნება სულიერი მწყემსი და მოძღვარი თავისი სამწყსოსი და ხალხის თვალში დაიმსახურებს იმ პატივს, რომელიც მის წოდებას შეეფერება.

მაინც ამ ბოლოს დროს სამღვდელოების არა ნორმალურმა მდგომარეობამ მიიქცია საზოგადო ყურადღება და როგორც სახელმწიფოს უმაღლეს წრეებში, ისე ლიტერატურაში ეს რამდენიმე წელიწადია ხშირად ბაასობენ ამ საგანზედ და საშუალებებს ეძებენ. ყველანი, ვინც ამ საგანზედ ფიქრობს და ბაასობს, ერთმანეთს ეთანხმებიან მხოლოდ შემდეგ აზრებზედ: საჭიროა, რომ სამღვდელოება ზნეობით ამაღლდეს, ხალხის თვალში ნდობა და პატივი ჰქონდეს. აგრეთვე ყველანი თანახმა არიან, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სამღვდელოების მატერიალური ცხოვრება გაუმჯობესდეს, მაგრამ როგორ უნდა მოხერხდეს ეს უკანასკნელი, ამაზედ კი უთანხმოება იბადება და გზები სხვა-და-სხვა მხარისკენ მიემართება. ზოგი ფიქრობს, რომ სამღვდელოებას სახელმწიფო ხაზინიდამ უნდა დაენიშნოს ჯამაგირი, როგორც საზოგადოდ ჩინოვნიკებს, ზოგს კიდევ ჰგონია, რომ უმჯობესი იქნება ყველა საღმრთო მოქმედებაზედ ერთხელ და ერთხელ დანიშნული იყოს მაზანდა (ტაქსა), რომელიც, ვითომ, ვაჭრობას მოსპობს მღვდელსა და მრევლს შუა. ამავე შეხედულებისა იყო, თუ არა ვსცდებით, ჩვენი გაზეთის ძველი რედაქციაც; და კიდეც გაუმარჯვნია ამ უკანასკნელ აზრს ხმის მქონე წრეში, რომელსაც ყველა მღვდელ-მოქმედების მაზანდა კიდეც დაუწერია და დაურიგებია ჩვენი სამღვდელოებისთვის. ამ საგანზედ ჩვენ შეხედულებას პრინციპიალურად ხვალ გამოვსთქვამთ და მკითხველს დავანახვებთ რამდენად მიაღწევს თავის მიზანს ახლად დაწერილი მაზანდა.

## ახალი ამბები.

გაზეთი «კავკაზი» გვატყობინებს, რომ ადრინდელი რედაქტორი «იურიდიული მიმოხილვისა», ნაფიცი ვექილი, ბ. სტეფანოვი მომავალი ნოემბრიდამ აპირობს ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოცემას, რომელსაც სახელად ერქმევა «კავკაზის მიმოხილვა». ნება-რთვა კიდეც მიუღია ბ. სტეფანოვს.

სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ ამბავს, რადგანაც იმედი გვაქვს, რომ ის იქნება ნამდვილი კავკასიის მი-

---

«დროების» ფელეტონი 9 ივლისა.

## მესტვირული

დაგვიდგა ცუდი დროება,
მოგვაკლდა თვალთა ჩინია:
დაქსაქსულნი ვართ ოჯახში
აღარ გვაქვს ერთი პირია.

დაირით, ზურნით, ნაღარით
გაძვირდა ძველი ლხინია;
გულსა გვიფარავს გარედამ
თეთრი რამ ფარატინია.

შიგნით კი შურით, ბოროტით
შავად ვართ გალესილია,
ძმა ძმასთან ველარ დამდგარა
მამას სცემს თავის შვილია.

ხელოსნობა აღარ გადის,
ახალია თუ ძველია!
ვაჭრებმაც ვაჭრობაზედა
ლამის აიღონ ხელია.

მღვდელნიც სჩივიან ცუდ დროზედ
მამები წმინდა ბერები:
რა ვქნათ და რა ვიქადაგოთ
შიმშილით გვეწვის წელები.

სწავლას და შრომას დავადგეთ,
სუყველამ გავსძრათ ხელები,
ავიღოთ ბარი, ნიჩაბი,
გუთანი—ზოგმა ცელები.

შევაბათ ნიშა, ნიკორა,—
მოვხნათ სულ მთა და ველები,
მთაში დავსთესოთ ქერ-დიკა
ბარში—პურ-უგრეხელები.

ქართველნი შრომით გათქმულან
ახლებში უფრო ძველები;
მტრის წინა შეუპოვრებსა
სისხლით მოურწყავთ ველები.

ზოგჯერ ჰყოლიათ მძლავრები,
გარყვნილი გაიძვერები,—
სამშობლო გაუყიდიათ,
დაუბანიათ ხელები.

ვინც დღეს გაჰყიდოს სამშობლო,
გარს მოუკიდოთ გენია.
წინ გაუძეხი, მწერლობავ,
დღეს გამარჯვება შენია!

უფალო, მოგვე ძალ-ღონე
არ მოგვეერიოს ძილია;
არ დაგვისეტყვო ყანები
გევედრით წმინდავ, ილია!

ღვთისა დედაო, შენცა გთხოვთ
არ აგვარიდო პირია:
ივერსა მტერი აშორო
იგი ხომ შენი წილია.

ქართველთ ერის განათლებას
ნუ ივიწყებ წმინდავ ნინო,

ვენახების მოსავალსა
შენ უმატე წმინდავ შიო,
რომ ჩავასხათ საზედაშო
შენსა გათქმულ მარანშიო,

ქრისტევ გთხოვთ და პური მოგვე,
რომ დავაძღოთ ბერებიო;
ხელოსნებსა საქმე ჰქონდეთ
ჩვეული აქვთ ხელებიო!..

ი. დ—შვილი.

## ყრუები.

(ნათარგმნი)

სოფლის მოშორებით ერთი ყრუ მწყემსი ცხვრის ფარას აძოვებდა. შუადღე გადავიდა, თვალი გზისკენ რჩებოდა, მაგრამ ცოლს სადილი კიდევ არ მოჰქონდა. მწყემსი ვერ ჰბედავდა ცხვრის თავის დანებებას, რომ შინ წასულიყო სადილისთვის. მაგრამ შიმშილი მეტად შემაწუხებელი ბატონია და ამიტომ თავისი გაიტანა, დასძალა. მახლობლად მეველე ბალახსა სთიბავდა თავის საქონლისთვის. მწყემსი გაემართა იმისკენ,—თუმცა გული კი ეთანაღრებოდა, რადგანაც მწყემსები და მენახირეები, მიუხედველად თავიანთ ვალდებულებისა გაუფრთხილდნენ როგორც საზოგადო, ისე კერძო კუთვნილებას, ხშირად თითონვე იჩენენ ბოროტმოქმედებას, ქურდობენ,—და სთხოვა მას მცირეს ხანს თვალ-ყური ედევნა ცხვრებისთვის, სანამ ის შინ მიირბენდეს სადილის საჭმელად; სა-

მოხილვა და არა ზოგიერთი გაზეთებივით მარტო ცარიელა სახელს ატარებს, რომელსაც წაუბამავს თბილისელი საქეიფო ბაღებისათვის, რომელთაც აწერია: «იტალია», «შტუტგარდ» და სხვ., შიგ კი იტალიელების მაგიერ სომხების და იმერლების მეტს ვერავის ჰნახავ.

≈≈ გაზაფხულზედ შევატყობინეთ ჩვენს მკითხველებს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტიდამ ჩვენსკენ წამოვიდა რამდენიმე პროფესორი კავკასიის ზოგიერთი ენების შესასწავლად. მათში იყო დასახელებული პროფესორი მილერი, რომელმაც ოსური ენა უნდა შეისწავლოს და ლექსიკონი შეადგინოს. მილერი კიდეც შესდგომია საქმეს და დიდ მადლობას უცხადებს საკუთარი წერილით, რომელიც გაზეთ «თერგშია» დაბეჭდილი, იმ ნასწავლ ოსებს, რომელთაც მხურვალე შემწეობა და მონაწილეობა მიუღიათ პროფესორის შრომაში.

≈≈ იმავე გაზეთ „თერგში" იწერებიან ალაგირიდამ, რომ კალიის გაჩენის ხმა გავარდა და მცხოვრებლები მეტად შეაწუხა, მაგრამ ეხლა კალია ყველას დაავიწყდა და დაჟინებულმა წვიმებმა მთლად იმედი დაეკარგვინა მშვიდობიანად მოსავლის აკრეფაზედ.

≈≈ გახდა ჭიდაობა ხალხის საქეიფ საშუალებად და აღარა გაეწყობა-რა! გუშინ კიდევ დაეჭიდეს გლდანელს გლდანელივე ბიჭი მიხა ხაბაზიშვილი. გამოჩენილი გლდანელი თავისებურად ეცა, ორჯერ ზედი-ზედ წამოიღო კისრულზედ, მაგრამ ვერ გადმოიტანა. მესამედ რომ უპირობდა ხაბაზიშვილს ცხვირიდამ სისხლი წასქდა და ხელები გაუშვა. ხალხი ძლიერ აყაყანდა და მუქარა დაუწყო ბაღის პატრონს ტერ-არუთინოვს, რომელიც თავის სასარგებლოდ ჰმართავს ამ ჭიდაობებს. უთუოდ გასწეწავდენ არუთინოვს, თუ მალე არ დაეშოშმინებინათ აჯანყებული ხალხი. დააშოშმინეს ამით, რომ გლდანელი ხაბაზიშვილს ხელ-მეორედ კვირას უნდა დაეჭიდოს და ვინც წინეთ დაესწრო, ისევ ძველი ბილეთებით შევლენ. მოცდენა? ახალი ხარჯი ფაიტონებზედ და კონკაზედ? ეს არაფერი?..

≈≈ ქუთაისიდამ გვწერენ: იმერეთის ეპარხიის კანცელარიაში ბევრი უწესოება სუფევს. არ შეუძლიან კაცს უბრალო სპრავკა მიიღოს ერთ კვირაში და ერთ თვეში. სასულიერო წოდება ძლიერ შეწუხებული არის. დასამტკიცებლად ამისა ვიმოწმებთ მრთელს სამღვდელოებას და იმათაც ვისაც საქმე ჰქონებია ამ კანცელარიასთან.

≈≈ შორაპნიდამ გვწერენ: მოგეხსენებათ ყველას, რომ ახალი მანიფესტით განთავისუფლებულნი არიან გარდასახადისაგან იმისთანა გლეხები, რომელთაც სრულებით სახლ-კარობა და მიწები არა აქვსთ. ამისთანა უმიწაწყლო და უსახლ-კარო გლეხების რიცხვი შორაპნის მაზრაში ადის 250 კომლამდე. ეს გლეხები ახალი გამოსული მანიფესტის ძალით იანვრის თვიდამ უნდა განთავისუფლდენ. ერთი ახირებული შემთხვევა მოხდა ამ მაზრაში, რომლის გამო ამ 250 კომ. გლეხებს არ დაიფარავს ეს მანიფესტი. კამერალის სიების შედგენის დროს ეს გლეხები კამერალიის შემდგენელებისა და შემმოწმებლებთაგან ნაჩვენები არიან, რომ მათ მიწები სრულებით არა აქვსთ. მაგრამ გასაკვირველად ყოველთა სახაზინო პალატამ ყველა ეს გლეხები აჩვენა მცხოვრებლებათ სახელმწიფო მიწაზე. ჩვენ ვერ გაგვიგია ეს რატომ მოხდა? ერთმა ადმინისტრაციის მოსამსახურე პირმა აი ეს ამბავი როგორ აგვიხსნა: «იმათ, მართალია, მიწა-წყალი და სახლ.კარობა არა აქვსთ, მაგრამ სახელმწიფო მიწაზე დადიან ხშირად და ამისათვის მოუწერეს მათ სახაზინო პალატაში სახელმწიფო მიწაზე სცხოვრებენო». ამ საგანზე მივაქცევ გაზეთების ყურადღებას და იმედი მაქვს ამ გაჭირვებულ უმიწა-წყლო გლეხებს არ გადახდებათ გადასახადი მისთვის მარტო, რომ ისინი სახელმწიფო შარაზე გაივლიან ხოლმე ხან-დის-ხან.

## «დროების» კორესპონდენცია.

ოზურგეთი, 29 ივნისს. დიდის მადლობის ღირსნი არიან ის ქალბატონები, რომელნიც ამას წინად «დროებაში» იყვნენ მოხსენებულნი იმ პატიოსან თანაგრძნობისათვის, რომელიც ჩვენს საქალებო სასწავლებელს გაუწიეს. მაგრამ არ შემიძლიან შეუნიშნავად დავტოვო მათ მიერ ბაღში გამართული სეირნობა, რადგან ამ სეირნობას სხვა ნაირი ხასიათი აქვს. ბოროტი ენები რას არ ამბობენ ამ სეირნობის თაობაზე, მაგრამ მე ბოროტ ენებს არ მივსდევ: მე მინდა მხოლოდ განვიმარტო, რა მნიშვნელობა აქვს იმისთანა სეირნობებს და რა სარგებლობა შეგვიძლიანთ ამით მოუტანოთ ჩვენს საქალებო სასწავლებელს. როდესაც ვინმე ბაღში სეირნობას მართავს და საზოგადოებას იწვევს, ის უსათუოდ უნდა ცდილობდეს, რომ მოწვეულმა საზოგადოებამ მიიღოს კმაყოფილება და სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოიტანოს იმ სეირნობისაგან; თუ უსიამოვნების და უკმაყოფილების მეტი საზოგადოებამ ვერა ნახა რა, მაშინ ფთსება და იმ ნაირ სეირნობაში მეორედ აღარ წავა. აი სწორედ ასე მოუვიდათ ჩვენს ქალბატონებს. გამართეს სეირნობა, რასაკვირველია, კეთილის განზრახვით, გაასაღეს თითო სტაქანი ჩაი თითო მანეთად, თითო კიტრი-სამ მანეთად, ხუთ მანეთად თუმნადაც.

რაც უნდა კეთილის განზრახვით იყოს, არც სასიამოვნოა და დიდი საწყენიც იქნება, რომ სტაქან ჩაიში მანეთი გადაგახდევინონ და კიტრში ხუთი მანეთი,—და ისიც მალად: «გინდა თუ არა მაინც მიირთვიო»! ამ ნაირ სეირნობას ხალხის ყულფა ჰქვიან. «დღეს რაცა გაქვს დამიტოვე, ხვალ-კი, თუ გინდა, კისერი იტეხეო!».—ასე ამ ნაირად შეკრიბეს 105 მანეთი; რასაკვირველია ეს ფული სასწავლებლისათვის დიდი შემწეობაა, მაგრამ ვაი ამისთანა შემწეობას! ზოგი მეორე დღეს ნაღვლიანად გაიძახოდა: «ნეტავ ფეხი მომტეხოდა და იქ არ მივსულიყავი! ხუთი მანეთი მქონდა ისიც იქ მომტაცეს, დღეს-კი შიმშილით ვკვდებიო!» ერთის სიტყვით, ამ ქალბატონებმა დააფთხეს საზოგადოება. თუ დაფთხობილი არ იყო, მაშ რა მიზეზი იყო, რომ საქალებო სასწავლებლის წლიურის ანგარიშის დროზედ არავინ დაესწრო და მოწვეულნი კი იყვნენ? რატომ არ ისურვა საზოგადოებამ შეეტყო, თუ რა გაუკეთებიათ წლის განმავლობაში პატივცემულ მასწავლებლებს (იქონიეთ სახეში, უფასოდ ასწავლიან), და რა შეუძენიათ ჩვენს მომავალს დედებს? რატომ ხსენებულმა ქალბატონებმა (ორის მეტმა) აქაც თავიანთი, ვითომც, თანაგრძნობა არ გამოიჩინეს? ან-კი როგორ მოვიდოდა საზოგადოება, როდესაც საქალებო სასწავლებელი მას წარმოუდგინეს რაღაც მავნე მოვლენად, რომელსაც შეუძლიან კიდევაც კაცს სული ამოაძროს პირიდგან. ქალებსაც ვერ გავამტყუნებ, რადგან ისინი თავიანთ «კუდაბზიკა კავალრებით» ვიზიტებში იქნებოდენ გართულნი და, რასაკვირველია, მაშინ კარგად გამოპრანჭულებს შენი საქალებო სასწავლებელი და მისი წლიური ანგარიში ფეხებზე ეკიდებოდათ.

ერთი წელიწადია, რაც საზოგადოებამ ჩვენი საქალებო სასწავლებელი გახსნა; ამისათვის მის სასარგებლოდ გამართული სეირნობა ან კონცერტები დიდ კმა-

---

მაგიეროდ, ამ შრომის მიღებისათვის დაჰპირდა დაჯილდოებას. მაგრამ მეველე მწყემსზედ უფრო ყურ-მახვილი იყო და მრისხანედ ეს პასუხი მისცა:

— შენ რა ხელი გაქვს, ბიძიავ, ჩემგან მოჭრილ ბალახზედ? საიდგან მოდიხარ ასეთი იაფი! მე ჩემის საქონლისთვის გავთიბე ბალახი, და არა შენის ცხვრებისთვის. ჭკუას რომ არიგებდე, ნეტავ სადა ბრძანდებოდი?.. შენი ცხვრები გაძღნენ და ჩემი საქონელი მშიერი დავაგდო? წადი, წადი, აქედგან, თავი დამანებე, თორემა!..

ამ მრისხანე სიტყვებს მეველე ახმარებდა სხვა-და-სხვა მუნჯურ ნიშნებს, რომელნიც მწყემსმა ჩასთვალა ნიშნად დაკმაყოფილებისა მის თხოვნაზედ და გახარებული იმ წამსვე გაეშურა სოფლისკენ იმ აზრით, რომ ცოლს ერთი ყოფა დაუწიოს და კვლავ აღარ გაებედვინოს ამ გვარი დაუდევრობა და ქმრის დაბრიყვება. თავის ქოხში რომ მივიდა, ცოლი ავად-მყოფობით შეწუხებული დახვდა და მრისხანება მწყემსისა გაჰქრა. ხანამ ის ცოლს მიეპატრონებოდა და მემდეგ სადილს გაიკეთებდა, კარგა დაუკვიანდა და გონება ცხვრისაკენ ჰქონდა, რადგანაც არც ისეთი ნდობა ჰქონდა ვილაც მეველისა, რომელსაც ცხვარი ჩააბარა. რა დაბრუნდა, მონახა თავისი ცხვრის ფარა და საჩქაროდ დაუწყო თვლა, ხომ არ დაჰკლებიაო სათვალავში და გული დაუშოშმინდა.

— აი, ჭეშმარიტად პატიოსანი კაცი! შეჰყვირა სიხარულით: ოქრო ყოფილა, ე დალოცვილი, დაუფასებელი, და არა მეველე! მე მას დავპირდი ჯილდოს და სწორედ ღირსია უხვად დაჯილდოებისა!

ცხვრებში ერია ერთი ფეხ-მოტეხილი, მაგრამ დიდი და მსუქანი ცხვარი, ის წამოიკიდა ზურგზედ, მიათრია მეველესთან და უთხრა:

— რადგანაც შენ კარგად გაუფრთხილდი და შეინახე ჩემი ცხვარი, აი, ძმაო, ალალი იყოს ეს შენთვის.

მეველემ დაინახა კოჭლი ცხვარი და მიუგო:

— რას გაგიჟებულხარ, კაცო! მე რა ვიცი, ვინ მოსტეხა ფეხი! ეშმაკმა იცის შენი თავი! ღმერთი გამიწყრეს, თუ მე სიახლოვეს მივკარებოდე შენს ცხვარს. ათას ჯვარ-სახარებაზედ შემოგფიცავ, რასაც ვამბობ! რაც შენ წახვედი მე აქედგან ფეხიც არ გადამიდგამს და აბა რა ვიცი!

— რა მიზეზი აქვს, ვითომა, რომ კოჭლია! ნახე რამოდენაა! კოჭლობით არ დაიწუნება. ჩემის სიყმის მზემა არც ერთ ცხვარზედ ნაკლები არ არის, ევ არის ფეხ-მართალიობით იწუნებ, თორემ ერთის ქორწილის ხალხს ეყოფა; დაჰკალ, ძმაო, და ქეიფი გასწიე! ერთ კვირას თავზედ საყრელად გეყოფა!

— აჰა, ღმერთო ჩემო! გეუბნები, არ მივკარებივარმეთქი შენს ცხვარს! შეჰყვირა გაჯავრებულმა მეველემ: ღმერთო ცილისაგან დამიფარე! მე რათ უნდა დამეკოჭლებინა შენი ცხვარი, რა სარგებლობისთვისა? დამეხსენ, მამაჩემსააქვს ცხონება, თორემ ყელში სისხლი მომივიდა!..

მწყემსმა გაიგო მუქარა, მაგრამ ვერ მიხვდა მიზეზსა და თითონაც მოემზადა პასუხის საგებლად. საქმე უბუნტოთ არ გადასწყდებოდა, თუ რომ მათ იღბალზედ მახლობლად ცხენოსანს არ გამოევლო. ორივენი ეცნენ ცხენს ალვირში და გააკავეს.

— ერთი სიკეთე გვიყავ, ღმერთი გიშველის, ეუბნება მწყემსი: მოგვისმინე და გაგვასამართლე, შენი ჭირიმე, ვინა სტყუის ჩვენში. ეს ცხვარი მოვიყვანე და მინდოდა მეჩუქებინა ამ კაცისათვის, რადგანაც ცოტაოდენი სამსახური და პატივისცემა გამიწია. ეს კი ცემას მიპირებს, არ ვიცი, რისთვის? რა დამიშავებია, ერთი ჰკითხეთ!..

— ქრისტიანობაც არ არის, შენი ჭირიმე! ეუბნება თავის მხრით მეველე: რას ჩამცივებია ე ოჯახქორი! დაუჟინია, შენ დამიკოჭლე ცხვარიო. ე რა ჭირში ჩავარდი!

ცხენოსანი, რომელიც ამოირჩიეს

უოფილებას და სიამოვნებას უნდა აძლევდეს საზოგადოებას. მაგრამ ამ საქმეს უგულოსად წაყვანა ეჭირვება.—ბაღში სეირნობის დროს ჩაი და კიტრი ასე ცეცხლის ფასად არ უნდა ყოფილიყო, შესვლის ფასიც იაფი, მეტადრე მოსწავლეთათვის და ღარიბთათვის ბაღში გაგემართათ სიმღერები, რომელსაც აასრულებდენ თვით მოსწავლენი-ქალებიც და ვაჟებიც. თუმცა ამ ნაირად შემოსავალი ცოტა იქნებოდა (არა სამ თუმანზე ნაკლები), მაგრამ მაყურებელნი კარგს შთაბეჭდილებას გამოიტანდენ ამ სეირნობიდგან და მადლიერნიც დარჩებოდენ.

ამ შენიშვნას კი ვაძლევ ხსენებულ ქალბატონებს. მაგრამ ამასთანავე იმედული ვრჩები, რომ ისინი არა თუ ითაკილებენ და არ გაჯავრდებიან ჩვენს დეპუტატებსავით, არამედ თავიანთ ნამდვილ თანაგრძნობას არ დაიზარებენ ჩვენის მოზარდ ქალებისათვის და კონცერტებით და სხვა რაიმე საშუალებით დახმარებას აღმოუჩენენ მათ.

რადგანაც საქალებო სასწავლებელზე ვლაპარაკობდით, ამისათვის ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა კიდევ მოგახსენოთ მის სასარგებლოდ. ქალბატონს მ. კოპაძისას ერთი წლიწადია რაც საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ გამართულ კონცერტზე მოგროვილი 62 მანეთი ფული აქვს მიბარებული ხსენებულ სასწავლებლისადმი გარდასაცემად. თუმცაღა ორჯერ სამჯერ კერძოდ მოახსენეს ამ ქალბატონს ფული გარდაეცა რიგზე, მაგრამ ჯერ ყურიც არ გაუბერტყია. ახლა-კი იძულებული შევიქენით გაზეთის საშუალებით ვსთხოვოთ ხსენებულს ქალბატონს ის ფული გარდასცეს სანდო კაცს, სასწავლებლის კომიტეტის წევრს, ა. ურუშაძეს. კადგად უნდა იცოდეს ამ ქალბატონმა, რომ 62 მანეთი ვაჭრის ხელში, მეტს თუ არა, შვიდს მანეთს წლიურს სარგებელს მაინც მოიტანს. იმედი გვაქვს მ. კოპაძისა მისვდება, რომ ეს მთელი საზოგადოების სურვილია და არა მარტო ამის დამწერისა და ამისათვის საზოგადოების სურვილს და თხოვნას აასრულებს.

---

**სოფ. ქვემო-ნიქოზი**, (გორის მაზრა) 5-ს მკათათვეს. რაც ჩვენში გაზეთი დაარსებულა, ქვ.-ნიქოზელებს არ ღირსებიათ მცირედი რამე მაინც ამოეკითხნათ მის ფურცლებიდგან შესახებ თავის-თავისა და ყოფა-ცხოვრებისა. ზოგიერთა მათგანს კიდეცა ჰგონია, რომ გაზეთი მათ არ ეხება, მათთვის არ არსებობს, და, რაც და როგორც უნდა იმოქმედონ, მათი მომკითხავი არავინ არისო. ამის ბრალი უნდა იყოს, რომ ამ ბოლოს დროს ასე ურცხვად და უშიშრად დაიწყეს ზოგიერთებმა ბოროტ-მოქმედება და ავაზაკობა. როგორც სხვა სოფლებისთვის, ისე ქვემო-ნიქოზისთვის უპირველესს საგანს შეადგენს ჭორიკანაობა, ლანძღვა-გინება, კილვა-ზრახვა და ქურდობა. ქურდობა კიდე მოსალოდნელია ღარიბის, გაჭირვებულის კაცისაგან, რომლის შრომის ნაყოფი ხარჯსა და გარდასახადს ვერ ასდის; ამ შემთხვევაში კი მომქმედი პირი შეძლებულია: აქვს მთა-ბარი, სახნავი მიწები სარწყავში თუ ურწყავში, აქვს ვენახი, ნაფუზრები და ყველაფრით მოწყობილი სახლ-კარი; ერთის სიტყვით აქვს სამყოფი, თუ არ მეტი, უძრავი და მოძრავი ქონება. მაშ რამ აიძულა უეჭველად ავკაცობა ჩაედინა, თუ არ კაცურის გრძნობის დაკარგვამ და სინიდისის დაფერფვლამ? ჰო, კარგი ახლანდელმა სამართალმა გაამართლა, არ დასაჯა, სადღა გაექცევა საზოგადო აზრს, ზიზღსა და სირცხვილს? მაგრამ რა იცის საზოგადო აზრისა და სირცხვილისა იმ არსებამ, იმ კაცმა, რომელსაც ხელი არ უძრწის მოიპაროს და ყელი გამოსჭრას საკალოე მოზვერს იმისთანა კაცისას, როგორიც არის ჩვენი ღარიბ-ღატაკი გლეხ-კაცი. და ეს ყველა რისთვის? მარტო მუცლის გულისთვის, კუჭის გასაძღებლად. ამ შემთხვევაში, რომელზედაც მე მოგახსენებთ ქურდობის მომქმედი პირი უბრალო არავინ გეგონოსთ, ეს გახლავთ კეთილშობილი (უფრო ბოროტშობილი) აზნაურიშვილი ნ. ნ—ძე.

აი საქმე როგორ არის: გლეხს ბაბო ხეთერელს უცფად გადაეფარა სადღაც კალოსთვის მოსწრებული, შვილივით გაზდილი მოზვერი. აქეთ ეცა, იქით ეცა, კვალი ვერსად მიიკვლია. ბოლოს ნახეს რომ ერთმა ძაღლმა ნ. ნ—ძის ბოსლის სანათურიდგან ძლივს ვაი-ვაგლახით გაუტყავებელი ხარის თავი ამოათრია. ზააგდებინეს, ნახეს და დარწმუნდენ ყველანი, რომ ის ხეთერლის მოზვრის თავი იყო. მაშინვე შეატყობინეს ყადალას, რომელიც შესდგებოდა ექვსის კაცისაგან, და მოსამართლე მამასახლისს; გასინჯეს ნ—ძის ბოსელი და სადგომი სახლი და ჰპოვეს ბოსელში ტყავი, ფეხები და ძაღლმა გამოაჩინა კიდევ ზღვეების ქვეშ ჩაფლული ხარის ფაშვები; ოთახში ნახეს დაჭრილი და მოხარშული ხორცი. რო ჰკითხეს ვინ მოგცა შენ ესენიო, მან მიუთითა ერთს თავადზედ და უთხრა, რომ მისგან წამოვიღეო. თავადმა სთქვა წრეულს დიდი ფეხის საქონელი მე არ დამიკლავსო. ბაამტყუნეს, მაგრამ ის არა მტყუნდებოდა. პრისტავმა პროტოკოლი შეუდგინა. მოზვრის პატრონმა ხეთერელმა საჩივარი შეიტანა. არავინ იცის საქმე როგორ გათავდება. ბევრის გლეხ-კაცის პირიდგან გაიგონებთ ამისთანა სიტყვებს: «ვინ იცის, იქნება კიდეც გაამართლონ, ეხლანდელ კანონს ათასი ნახვრეტი აქვსო, საითაც უნდათ იქით გაგაძვრენენო». ამით გაჯავრებულებმა სინიდისის გასაწმენდად ნ. ნ—ძემ და ორმა იმისმა სახლი-კაცმა დაიჭირეს საწყალი ხეთერელი და ულმერთოდ სცემეს. ამას არ დასჯერდენ, მოასწრეს გზაზედ ერთს თავიანთ მეზობელს, ყანდარის წევრს, რომელიც ცხადად ამტკიცებდა იმათ ბოროტ-მოქმედებას და იმასაც ძალიანა სცემეს. სიტყვით და მუქარით რომ ვერას აწყობენ, ძალით აშინებენ ხალხს.

ამ ორის წლის განმავლობაში ქვემო-ნიქოზში დაიკარგა შვიდი ძროხა, ოთხი ხარი, ცხენები, ღორები და სხვა წვრილ-ფეხი საქონელი. ვერა იპოვეს-რა. ეჭვი ნ—ძეზედ ჰქონდათ, მაგრამ ეჭვით ვერას შვრებოდენ: ეხლა კი ამ შემთხვევისა გამო, ყველანი ამტკიცებენ, რომ ეგ სამი სახლი-კაცი ამხანაგები არიანო და თავიანთ ნაყმევ ტბეთელ ოსების შემწეობით მთელი ქვ.-ნიქოზი გააცაიესო.

დიდ-ლიახველი.

---

**დ. შორაპანი**, 30 ივნისს. საკვირველი წესები სუფევს ამ ჩვენ დალოცვილს რკინის გზაზე. აი ფაქტიც. აი 1 ივნისს ყვირილის სტანციიდან მიდიოდნენ იმერეთის და სამეგრელოს ეპისკოპოსები ქუთაისში. იყიდეს პირველი კლასის ბილეთები. მოვიდა თუ არა მატარებელი, ცოტა რამ ნივთები გაატანეს კაცს და უთხრეს შეეტანა პირველი კლასის ვაგონში. კაცი დაბრუნდა და მოახსენა მათ, რომ პირველი კლასის ვაგონში ადგილი არ არისო. გაიგეს ბოლოს, რომ ადგილი კი ყოფილიყო, მაგრამ შიგ მყოფნი ადარავის უშვებდენ. სთხოვეს სტანციის უფროსს. მან პირველად განაცხადა, რომ ეს მისი საქმე არ არის და მეორე თხოვნაზე ვეთილინება წაბრძანება პირველი კლასის ვაგონში. მიადგა ერთ კუპეს, გამობრძანდა ერთი კეკლუცათ მორთული ქალბატონი და უბრძანა: აქ არ შეიძლება შემოსვლაო. ამ სიტყვებზე წიგნი მიაჩეჩა ხელში სტანციის უფროსს, რომლიდანაც გაიგო მან, რომ ისინი ბრძანდებიან ბ. სატკოვსკის ნაცნობები თუ რაღაცა....

---

მსაჯულად, ორთავეზედ მომეტებული ყრუ გამოდგა და ვერაფერი ვერა გაიგონა იმათის ლაპარაკისა.

—მართალია, მიუგო მან! ჩემი არ არის ეს ცხენი, მაგრამ არც მოპარულია! გზაში დამხვდა უპატრონოდ და რადგანაც საჩქარო საქმე მქონდა, შევჯექ, რომ არ დავბრკოლდე ჩემს საქმეს. მაგრამ თქვენ რა გნებავთ? თუ თქვენია, აჰა, წაიყვანეთ, ხომ არ გართმევთ? მხოლოდ მე ნუ მაგვიანებთ, თუ ღმერთი გწამთ, უიმისოდაც დამიგვიანდა, მეჩქარება.

მწყემსსა და მეველეს ეგონათ, რომ მხედარი დამნაშავეს ამართლებსო და ამიტომ იწყეს ერთი საშინელი ღრიალი, ყაყანი, ერთმანერთის ლანძღვა-გინება და მოსამართლის წყევლა და მხილება უკანონოდ გასამართლებისათვის.

ამ ვაი—უშველებელში და ალიაქოთში რომ არიან, დაინახეს საბედოდ მახლობლათ მომავალი ერთი ბერი-კაცი. ყველანი მისცვივდენ ბერი-კაცს და დაუწყეს ვედრება, რომ მოუსმინოს და გაარჩიოს იმათი საქმე. ყველა ერთად ლაპარაკობს ჩხუბის მიზეზს და არწმუნებს თავის სიმართლეს და სხვის უსამართლობას.

მოხუცი ამათზედ უფრო გამოყრუებული გამოდგა.

—კარგი, ნუ შესწუხდებით, გავიგე! მაგდენი ლაპარაკი რა საჭირო იყო? ჩემმა ცოლმა გამოგგზავნა განა ჩემს დასაჭერად და შესარიგებლად! ძალიან ვსწუხვარ, რომ თქვენ ხელ ცარიელები უნდა წაბრძანდეთ. ჩემი განზრახვა მტკიცეა და შეურყეველი, ვერაფრით ვერ გამომიცვლიან მას. ნუ სწუხდებით! იცნობთ კია ჩემს ცოლსა!? ის ადამიანი კი არ არის, ცოლი კი არა, ეშმაკია, ტარტაროზია ჯოჯოხეთისა. ასე მოახსენეთ იმ პატიოსანს, აღარ შემიძლიან-თქო შენთან ცხოვრება, გასწყდა ჩვენში კავშირი! რაც ის შევირთე, ამდენი ცოდვები ჩამიდენია, რომ ენით დაუთვლელი, ასის შთამომავლობის შემდეგაც ველარ მოვინანიებ. მე მივდივარ უდაბნოში, რომ ვევედრო ალლახს, რათა მან განმწმინდოს დამძიმებული აუარებელ ცოდვებისაგან. ვიცხოვრებ იქ სამოწყალოთ და ვეცდები, რომ ჩემს სიცოცხლეში თვალით აღარ ვიხილო ჩემი ცოლი!..

სანამ ესენი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ოთხნივ ჰყვიროდენ და ერთმანერთისა კი არ ეყურებოდათ, ცხენოსანმა დაინახა უკან რამდენიმე კაცი ჩქარის ნაბიჯით ამათკენ მომავალი. ის შეშინდა, რომ მოპარულის ცხენის პატრონისაგან დადევნებულები არ იყვნენო, საჩქაროდ მოსხლტა ცხენიდგან და,—ჰერი ბიჭო! მოქუსლა, რაც კი შეეძლო? მწყემსიც გაეშურა თავის ცხვრისაკენ, რომელიც ამასობაში კარგა შორს წასულიყო. გზაში ის სწყევლიდა ყველა მოსამართლეს და უჩიოდა რომ ქვეყნად მოისპო სიმართლე და მართლ-მსაჯულობა.

ამ დღის ყველა უსიამოვნებასა და სამწუხარო მოვლინებას ის აწერდა გველს, რომელიც გზაზედ თვალ-წინ გადაუცოცდა დღეს დილით.

მეველე დაბრუნდა თავის თივასთან და ნახა რა ცხვარი, წამოიკიდა ზურგზედ და გაუყენა გზას, რომ ამითი დასაჯოს მწყემსი უკანონოდ მიყენებულ შეურაცხყოფისათვის!

მოხუცი კი თავის გზაზედ წავიდა. ღამის ძილმა და მოსვენებამ გაუქარწყლა მას მრისხანება ცოლისადმი. მეორე დღეს მოვიდენ იმისი ნაცნობები, ნათესავები და სრულიად დაამშვიდეს; ურჩიეს შინ დაბრუნება და აღუთქვეს, რომ გამოაცვლევინებენ ცოლს ამისთანა ცუდ ხასიათებსა და ქცევას!..

თეოფ. კანდელაკი.

ს. მეჯვრისხევი, 20 ივნისს.

ღმერთმან იცის.. სტანციის უფროსი მეც მოსცილდა მათ და მიადგა მეორე კუპეს. იქიდამაც მოისმა «აქ არ შეიძლება შემოსვლა, ჩვენ აქ ავადმყოფი ქალბატონი გვყავს» ქალი, მართალი უნდა გითხრათ, იწვა, მაგრამ მისი კი რა მოგახსენოთ ტან-მრთელი იყო თუ ავადმყოფი. სხვა ადგილი აღარ იყო პირველი კლასის. ეპისკოპოსები ფეხზე დგანან და ადგილი ვერ უშოვიათ. ეუბნებიან სტანციის უფროსს რად ჰყიდის ბილეთს, თუ ადგილი არა აქვს. ობერ კონდუკტორი პასაჟირებს ვერაფერს უბედავს მისთვის, რომ ზოგი მათგანი რკინის გზის ღმერთების ცოლები არიან და ზოგი კიდევ მათი მოახლეები და მონები... ეპისკოპოსებს გული მოსდით და მეორე კლასის ვაგონში წავიდნენ. ბოლოს შევიტყვეთ, რომ იმ ვაგონის პირველ კუპეში თურმე უფასო ბილეთობანი ქალბატონები და ვაჟბატონები ბრძანდებოდნენ ბათუმში საქეიფოთ და ზღვაში საბანაოდ. გეცოდინებათ, ბატონებო, რომ უფასო ბილეთებზე უკან აწერია: როდესაც ნაყიდი ბილეთებით პასაჟირები ბევრნი არიან უფასო ბილეთების პატრონები უთმობენ მათ ადგილს და თუ საჭირო იქმნა უფასო ბილეთების მქონენი პირველი კლასიდამ მესამეშიაც უნდა გადაბრძანდნენ. კავკასიაში კი ეს წესი, როგორც სხვა კანონები, სხვა ნაირად აიხსნება: უფასო ბილეთებით მოსიარულენი რჩებიან თავიანთ ადგილას და ნაყიდი ბილეთებით კი მეორე კლასში და მესამეში უნდა გადაბრძანდნენ პირველი კლასიდამ.

ამასთან უნდა დავუმატოთ კიდევ ის, რომ ხშირად მრავალი მგზავრები არიან. ბილეთები მეტი იყიდება და ადგილი ცოტა არის, რომლის გამო მგზავრები ფეხზე დგანან. რკინის გზის გამგეობა ამას ყურადღებას არ აქცევს და საზოგადოება ძლიერ შეწუხებულია.

დ. ღ.

## განცხადებანი

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე იყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—85)

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

მომავლის სეკტემბრისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქმნენ ყველა მაზრებიდგან მხოლოდ ორმოც-და-თვრამეტი ყმაწვილი (58); ოც-და-თვრამეტი პირველს (დასაწყისს) განყოფილებაში და ოცი—მეორეში.

პირველს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან უეკზამენოდ შვიდის და რვა წლის ყმაწვილები. შემომსვლელთ მეორე განყოფილებაში უნდა ეცოდინესთ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან შესწავლილი უნდა ექმნესთ ყოველ მხრივ რიცხვები ერთიდგან ოცამდის. მსურველთ შეუძლიათ თხოვნის შემოტანა ოც-და-ხუთს აგვისტომდის; ოც-და ხუთიდგან თვის დამლევამდის იქნება ახალი მოსწავლეების მიღება. ერთად თხოვნასთან, რომელიც იწერება სასწავლებლის ინსპეკტორის სახელზე, საჭიროა წარმოადგინონ თავად-აზნაურობის მოწმობა, ან მოწმობა ბანკიდგან, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებლად ირიცხება, და წლოვანობის მოწმობა.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში და აგრეთვე პირველს პროგიმნაზიულს კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში შემოსვლის თხოვნა მიღებული არ იქმნება. (15—4)

**ბაქოს რკინის გზის სკლადში** (ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზაზედ გადასავალში) პარასკევს, ამ ივლისის რვიდამ, დილის რვა საათზედ ყოველ დღე აუქციონით გაიყიდება დარჩენილი მასალა, იარაღები და ერთიც სადგომი სახლი დასაშლელად. (3—2)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები. ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—3)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—2)

## მაკ-მასტერი…

აქვე იყიდება ქინის პომადი თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## შპალერები

აუარებელი და იყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დავუთმობთ. (40—34)

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდზე. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლეონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—41)

2000 ბოთლი ციტრატ-მაგნეზიისა წყურვილის მოსაკლავად 80 კ., 1000 ყავის საფქავი 1 მანეთიდამ, 3000 საურველი 20 კაპეიკიდამ, 4000 ჩამოსაკიდებელი 5 კ. ინგლისის მაღაზიაში.

იქვე კარბოლის პარაშოკი, უნაგირები, რევოლვერები, ჩულქები, წინდები და გუტაპერჩის პალტოები 25% იაფად სხვებზედ. პარუსინა და კაცის წამოსასხამები ნახევარ ფასად. (10—7)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ პირველიდამ 16 კათათვემდე 1883 წ.

| | | |
| --- | --- | --- |
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. | $3^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 გ. | 3 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | $3^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | $5^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | $3^1/_2$ |
| მროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 8 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

*Доз. цензурою Тифлисъ, 8 Іюля 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველი შვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.